Research

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



I 33. 2024

გამოცემა 25

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, I კვ. 2024

Research

„საქართველოს ეკონომიკური კლიმატი“ პიემსი კვლევითი ცენტრის (PMC RC) პროდუქტია.

ამ ბიულეტენში, რომელიც ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას ეყრდნობა, განხილულია საქართველოს ეკონომიკური კლიმატი ქართველ ეკონომისტთა შეფასებით.*

აღნიშნული გამოცემისთვის კვლევა ჩატარდა 2024 წლის მარტში.

**იმ ეკონომისტების რაოდენობა, რომლებსაც ეგზავნებათ კვარტალური კითხვარი შეადგენს 60-ს. გამოხმაურების დონე, შესაძლოა, მერყეობდეს კვარტლების მიხედვით.*

შეჯამება

Research

2024 წლის პირველ კვარტალში ჩატარებული ქართველი ეკონომისტების გამოკითხვის მთავარი მიგნებებია:

- ქართველი ეკონომისტები ***პოზიტიურად*** აფასებენ საქართველოს ***მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას.*** მათი მოლოდინი საქართველოში **მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკური მდგომარეობის** მიმართ ***მცირედით პოზიტიურია.*** თუმცა, შეფასებები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, წინა კვარტალთან შედარებით.
- 2024 წლის ***რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზი*** საშუალოდ ***5.3%***-ს შეადგენს.
- მომდევნო 6 თვის განმავლობაში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი გაიზრდება. 2024 წლისთვის ***მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი*** საშუალოდ ***3.4%***-ია.
- მოსალოდნელია, რომ მომდევნო 6 თვის განმავლობაში ***ექსპორტის მოცულობა შემცირდება,*** ხოლო ***იმპორტის მოცულობა გაიზრდება*** 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედრებით.
- დამატებით, გამოკითხული ეკონომისტების თანახმად:
  - საქართველოს ეკონომიკაზე ყველაზე დიდ გავლენას ***ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი*** და ***სამუშაო ძალის დეფიციტი*** ახდენს. ამასთანავე, ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოვების მხრივ, საქართველოს ეკონომიკისთვის ყველაზე რთული სფეროა ***დასაქმება და შრომის ბაზარი.***
  - ***გეოპოლიტიკური დაძაბულობა*** არის მთავარი რისკი, რომელმაც, შესაძლოა, საქართველოს ეროვნულ ბანკს უფრო მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებისკენ უბიძგოს.
  - შუა დერეფნის განვითარების შედეგად საქართველოს ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვნად გააძლიერებს ***დამხმარე ინდუსტრიების განვითარება*** და ***საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია.***
  - ***საშუალოვადიან პერსპექტივაში მდგრადი ზრდის ხელშეწყობა*** საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ქვეყნებისთვის შეთავაზებული ზოგადი პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის საქართველოსთვის ყველაზე რელევანტურია.

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი

- გამოკითხვის თანახმად, 2024 წლის I კვარტალში ქართველი ეკონომისტები **დადებითად** აფასებენ საქართველოს **მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას**. მათი შეფასება მცირედით გაუმჯობესდა როგორც 2023 წლის IV კვარტლის შეფასებასთან, ასევე, 2023 წლის I კვარტლის შეფასებასთან შედარებით.
- 2024 წლის I კვარტალში გამოკითხული ეკონომისტების მოლოდინი საქართველოში **მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ მცირედით დადებითია**. მოლოდინი მცირედით გაუარესდა იმ პროგნოზთან შედარებით, რომელიც ეკონომისტებს მომდევნო ექვსი თვის მიმართ ჰქონდათ 2023 წლის IV კვარტალში, თუმცა, საგრძნობლად გაუმჯობესდა 2023 წლის I კვარტლის უარყოფით პროგნოზთან შედარებით.



მაკროეკონომიკური პროგნოზები

გარდა არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის დაფიქსირებისა, გამოკითხულმა ექსპერტებმა გაკეთეს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი საქართველოსთვის.

გრაფიკი 1: რეალური მშპ-ს ზრდა საქართველოში და მისი პროგნოზი 2024 წლისთვის (პროგნოზი გაკეთებულია გამოკითხული ეკონომისტების მიერ 2024 წლის I კვარტალში)



გრაფიკი 2: საშუალო წლიური ინფლაცია საქართველოში და მისი პროგნოზი 2024 წლისთვის (პროგნოზი გაკეთებულია გამოკითხული ეკონომისტების მიერ 2024 წლის I კვარტალში)



- **რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის** პროგნოზი 2024 წელს საშუალოდ **5.3%-ს** შეადგენს.
- მომდევნო 6 თვის განმავლობაში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელია ინფლაციის ზრდა. 2024 წლისთვის **მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი** საშუალოდ **3.4%**-ია.
- მომდევნო 6 თვის ბოლომდე, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელია, რომ ქართული ლარი **გამყარდება** აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში, ხოლო **გაუფასურდება** რუსულ რუბლთან და თურქულ ლირასთან მიმართებაში.
- მომდევნო 6 თვის განმავლობაში, 2023 წელთან შედარებით, მოსალოდნელია **ექსპორტის მოცულობის შემცირება**.
- მომდევნო 6 თვის განმავლობაში, 2023 წელთან შედარებით, მოსალოდნელია **იმპორტის მოცულობის ზრდა**.

დამატებითი კითხვები

- **გამოკითხვის ფარგლებში**, ეკონომისტებმა 2024 წლის I კვარტალში საქართველოს ეკონომიკაზე ყველაზე დიდი ზეგავლენის მქონე ფაქტორებად **სამუშაო ძალის დეფიციტი** და **ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი** დააიდენტიფიცირეს. ასევე, მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორებს შორის აღმოჩნდა **მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირება** და **უკრაინაში მიმდინარე ომი.**
- გამოკითხული ეკონომისტების შეფასებით, უარყოფით ფაქტორებს უფრო დიდი გავლენა აქვთ საქართველოს ეკონომიკაზე (სამუშაო ძალის დეფიციტი, რუსეთ-უკრაინის ომი), ვიდრე პოზიტიურ განვითარებებს (მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირება, დაბალი ინფლაცია).

გრაფიკი 3: შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ აქვს გავლენა) 5-მდე (ძალიან მაღალი გავლენა) რომელ ფაქტორებს ჰქონდათ ყველაზე დიდი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე 2024 წლის I კვარტალში



დამატებითი კითხვები

- 2024 წლის იანვრიდან საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) ამცირებს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს,* თუმცა, ამავდროულად, ასახელებს ზოგიერთ ფაქტორს, რომლებმაც, შესაძლოა, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მიმდინარე დაღმავალი ტრაექტორია შეცვალოს.
- გამოკითხული ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ეროვნული ბანკის მიერ ხაზგასმული ფაქტორებიდან, რომლებმაც შეიძლება მონეტარული პოლიტიკის დაღმავალი ტრაექტორია შეცვალოს, **გეოპოლიტიკური დაძაბულობა** მთავარი რისკია. გარდა ამისა, ეკონომისტების უმეტესობა **იმპორტირებული ინფლაციის რისკებს** მონეტარული პოლიტიკის შერბილებისთვის მაღალი ან ძალიან მაღალი საფრთხის მქონედ მიიჩნევს.

გრაფიკი 3: შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ არის საფრთხე) 5-მდე (ძალიან მაღალი საფრთხე) რომელმა ფაქტორებმა შეიძლება აიძულოს სებ-ი შეინარჩუნოს მკაცრი მონეტარული პოლიტიკა



**2024 წელს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უკვე ორჯერ შეამცირა, იანვარში (9.0%-მდე) და მარტში (8.25%-მდე). მეორე გადაწყვეტილება რესპოდენტების მიერ კითხვარის შევსების შემდეგ იქნა მიღებული.*

დამატებითი კითხვები

- საქართველომ, როგორც ევროკავშირის ახალმა კანდიდატმა ქვეყანამ, თავისი პირველი ეკონომიკური რეფორმების პროგრამა (ერპ) ევროპის ცენტრალურ ბანკს წარუდგინა. ამის გათვალისწინებით, ეკონომისტებმა შეაფასეს ერპ-ის სხვა-დასხვა სფერო საქართველოსთვის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოვების სირთულის მიხედვით.
- შედეგების თანახმად, **დასაქმება და შრომის ბაზარი** ყველაზე დიდი გამოწვევის მქონე სფეროა საქართველოსთვის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოვების თვალსაზრისით. ასევე, გამოწვევების მქონე სფეროებს განეკუთვნება **ენერგეტიკული ბაზრის რეფორმები, სოციალური დაცვა და ჯანდაცვა.**
- გამოკითხული ეკონომისტების მოსაზრებები ერთმანეთისგან ყველაზე მეტად განსხვავებულია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად რთულია საქართველოს **საჯარო ფინანსების მართვის** ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოვება.

გრაფიკი 3: შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ არის რთული) 5-მდე (ძალიან რთული) ერპ-ის სფეროები საქართველოსთვის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოვების სირთულის მიხედვით



დამატებითი კითხვები

- მსოფლიო ბანკის კვლევაში სახელწოდებით "შუა დერეფნის პოტენციალის რეალიზება" საქართველო, ყაზახეთი და აზერბაიჯანი შუა დერეფნის სამ ძირითად ქვეყანად არიან დასახელებული. ეკონომისტებს ვთხოვეთ, შეეფასებინათ შუა დერეფნის განვითარებით გამოწვეული პოტენციური დადებითი ეფექტები საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე.
- გამოკითხულ ეკონომისტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ შუა დერეფნის განვითარება ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე **დამხმარე ინდუსტრიების განვითარების**, **რუსეთთან და ჩინეთთან ვაჭრობაზე დამოკიდებულების შემცირებისა** და **საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების** გზით.

გრაფიკი 4: შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი) 5-მდე (ძალიან მნიშვნელოვანი) შუა კორიდორის განვითარების შედეგად საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე პოტენციური დადებითი გავლენების მნიშვნელობა



დამატებითი კითხვები

- საერთაშორისო სავალუტო ფონდი“ მსოფლიოს ეკონომიკური პერსპექტივის“ უახლეს გამოცემაში 2024 წლისთვის ქვეყნებს რამდენიმე ზოგადი პოლიტიკის პრიორიტეტს სთავაზობს.
- გამოკითხული ეკონომისტების მიხედვით, **საშუალოვადიან პერსპექტივაში მდგრადი ზრდის ხელშეწყობა** სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის საქართველოსთვის ყველაზე რელევანტურია.
- დამატებით, შედეგები აჩვენებს, რომ **ბუფერების აღდგენა მომავლისთვის მოსამზადებლად** და **მრავალმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება ფრაგმენტაციის ეფექტების შესარბილებლად** თანაბრად რელევანტური პოლიტიკის პრიორიტეტებია საქართველოსთვის.

გრაფიკი 5: შეაფასეთ 1-დან (არ არის რელევანტური) 5-მდე (ძალიან რელევანტური) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკის პრიორიტეტების რელევანტურობა საქართველოსთვის



სხვა ეკონომიკური ინდიკატორები საქართველოში

გრაფიკი 8: მშპ ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე ფასებში



გრაფიკი 9: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი შეფარდება მშპ-სთან



გრაფიკი 10: სახელმწიფო საგარეო ვალი და მისი შეფარდება მშპ-სთან



გრაფიკი 11: უმუშევრობის დონე



სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ანასტასია ჩხენკელი
მკვლევარი
a.chkhenkeli@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი
უმცროსი მკვლევარი
g.tsukhishvili@pmcginternational.com

მარიამ ჯიქია
კვლევითი ასისტენტი (სტაჟიორი)
m.jikia@pmcginternational.com